თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 23 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) 2:1 (1:0).

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე (ქორიძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

“კრილია სოვეტოვი”: ლისენჩუკი, ლოსევი, კუპრიანოვი, კაპაევი, კუკინი, პანფილოვი, პრიმაკოვი, კუზმინი, კუზნეცოვი (სიდოროვი), ვასიაევი, ბამანოვი.

მსაჯი: ვ. გლებოვი (მოსკოვი).

გოლები: გუცაევი (26-ე), კუზმინი (60), დარასელია (74).

მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. სტუმრებმა ერთადერთი ფეხბურთელი დატოვეს წინ, დანარჩენები საკუთარი კარის მისადგომებთან დასახლდნენ. ამ შეხვედრაში “დინამოს” წინა ხაზზე სამი ფორვარდი - ყიფიანი, შენგელია, გუცაევი - ჰყავდა, ამის გარდა მასპინძელთა იერიშებში მონაწილეობს ყველა ნახევარმცველი და მონაცვლეობით მცველებიც - ჩივაძე, გ. მაჩაიძე, ჭილაია.

26-ე წუთზე თბილისელთა ერთერთი იერიში გუცაევის ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა. პირველ ტაიმში შეიძლებოდა ამ წარმატების კიდევ უფრო განმტკიცება, მაგრამ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ “დინამოს” შეტევებს, ბუნებრივია აკლდა სისწრაფე. “კრილია სოვეტოვი” ახერხებდა თავის დაცვას.

თამაშის მეორე ნახევარი ისევ მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. გოლის გატანის შესაძლებლობა ხან ერთ, ხან მეორე თბილისელს ეძლეოდა და, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, სტუმართა ერთერთი უიშვიათესი კონტრშეტევა კუზმინმა გოლით დაასრულა - 1:1.

ჩემპიონატის აუტსაიდერთან მატჩის ფრედ დამთავრების პერსპექტივა რაღა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა ჩემპიონ და სათანადო ზომებიც სასწრაფოდ იქნა მიღებული . ბურთი სულ უფრო სახიფათოდ ატრიალდა ვოლგისპირელების კართან, მაგრამ დრო გადის და გოლი კი არ ჩანს. ამ ვითარებაში შესანიშნავად თამაშობს ყიფიანი (ამ დღეს ის საუკეთესო იყო მინდორზე). და აი, მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე დარასელიას ლამაზ თავურ დარტყმას მეორე გოლი მოჰყვა - 2:1. ამის შემდეგ “დინამომ” ისევ უკლო ტემპს და შეხვედრა მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

ლელო 25.09.79